









ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



#### საკონტაქტო ინფორმაცია:

-  ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ილია ქუჩავაძის გამზ. 32)  
A კორპუსი (ეზო)
-  theatre@iliauni.edu.ge
-  222 35 42; 229 47 15 (სალარო)
-  www.facebook.com/theatre.iliauni
-  twitter.com/IliauniTheatre
-  www.youtube.com/IliauniTheatre



ილიაუნის თეატრი  
ILIAUNI THEATRE



[www.iliaunitheatre.ge](http://www.iliaunitheatre.ge)



## აღწერა:

ილიაუნის თეატრი, რომელიც 2010 წელს გაიხსნა ვაკის თეატრალური სარდაფის ბაზაზე, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პროფესიული თეატრია.

## მიზანი:

ილიაუნის თეატრის ძირითადი მისია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების ძირითადი და მეორადი პროგრამის სტუდენტების პროფესიული ზრდა და ტრენინგია, თუმცა აქ ხშირად ხორციელდება სხვა პროფესიული და ახალგაზრდული თეატრალური პროექტები. სცენა ხშირად მასპინძლობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროსადმი მიძღვნილ მასტერკლასებს და სტუდენტურ ღონისძიებებს: პოეზიის საღამოებს, კონცერტებს, პრეზენტაციებს და ა.შ.

ილიაუნის თეატრის პროფესიულ წარმოდგენებში ცნობილი მსახიობების გვერდით მონაწილეობენ უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რაც მათი პროფესიული ზრდისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თეატრალური სეზონი სწავლის დაწყებასთან ერთად, ოქტომბრის პირველ კვირას იხსნება და ივნისის ბოლოს იხურება. თეატრი წარმოდგენებს მართავს კვირაში ოთხჯერ: ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას. სპექტაკლების დაწყების დროა 20:00 საათი.

## სალარო:

ბილეთის ფასი:

- 5/7/10 ლარი
- ილიას სახელმწიფო უნივერ-სიტეტის სტუდენტებისთვის 3 ლარი.
- ილიაუნის თეატრალური ხელოვნების პროგრამისა და თბილისის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერ-სიტეტის სტუდენტებისთვის წარმოდგენებზე დასწრება უფასოა.

ბილეთების დაჯავშნა და შეძენა შესაძლებელია ილიაუნის თეატრის სალაროში, რომელიც მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 13:00-დან 20:00 საათამდე.

ბილეთების შეძენა შესაძლებელია აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის სახლში "ლიგამუსი" (სამუშაო საათები: ორშაბათი-შაბათი 10:00-21:00, კვირა 12:00-18:00. ტელ: 2232770) და TBC-Pay-ს აპარატების მეშვეობით, ასევე - ინტერნეტითაც 24 საათის განმავლობაში – [www.biletebi.ge](http://www.biletebi.ge)

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სტუდენტური ფასდაკლებით ბილეთის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ილიაუნის თეატრის სალაროში.